

საქართველო მესამე

ცენტრალური სახელმწიფო საზოგადოება

საელჩიო ქურნალი

მოსავალი



აპრილი 1.

№ 7.

შინაგანი:

— 3. რცხილაძე.....	მოქლე დარიგება ამერიკული ბაზის თესა - მოვანის შესახებ. (ა. ტარატინოვის)	3
— მღ. ალ. ჯალიაშვილი.	მეცუტებულის კადენდარი. მარტი.	7
6. კახელიძე.....	გლეხ-კოლერატორის სახელმძღვანელო.	13
განცხადება.....		16

სამეურნეო ჟურნალი

მოსკვალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წარსეულ წელს გურნალში დაიბეჭდი წერილები შემდეგი ცირკებისა: — ახოშვილი ვ.,
ანაზეული, ახალია ი., ბერეკაშვილი კ., გულბათიშვილი ვ., გვარაშაძე კ., გორთაშავილი ვ.,
ელიაშვილი ზ., ვაჭრიშვილი ვ., თაქთაქიშვილი გ., ოოძე გ., იოსელიანი ე., გახლიძე ს., გრ-
ზელაშვილი ელ., კარალელი ვ., ბაჩაბელი ა., მღიგანი ლ., შქედლიშვილი ვ., ნახუცინშვილი ვ.,
ონიგოვი კ., როლოვი ა., რცხილაძე ვ., რცხილაძე სტ. ვ., რცხილაძე სტ. გ., ფურცელაძე ი.,
ფალავანიშვილი ლ., ქუთაოელაძე ი., ქათაშაძე ვ., ქარციგაძე მ., ყიფანი პ., ჩიგაძე გ., ცხადა-
ძე გრ., უნდაძე ს., შავლიევი პ., ჯანაშვილი მ., ქიქია ლ., გახელი მევენაზე, სემიონოვი ექიმი.

რედაქცია მოელის თანამშრომლობას სხვებიდანაც.

თანამშრომელთა საზურადლებო

ჟურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი
(თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი
ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შეამოკლოს.
წერილები და კორესპონდენციები, რომელიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასა-
ბრუნებლად.

რედაქცია მზეთ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შუამავ-
ლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების
შეძენასაცალებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკა ლ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი
(ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ლირს თ. რ. შაური.

წლიური აბონემეტებისათვის განცხადების ფასი რედაქციასთან შეთანხმებით.

განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

თუ ზექლება ექნება რედაქციას, ჟურნალის ხელისმომწერლებს წლის დამლევს გაუ-
გზავნის უფასოდ დამატება-ბროშურას მეურნეობის რომელიც დარგის შესახებ.

შურცალი წელიწადში ღის ვ განვთი.

რედაქციის ადრესი: თიფლის, ბარატინსკა, 5. «МОСАВАЛИ».

რედაქტორ-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე



მოკლე დარიგება ამერიკული ბამბის თესვა-მოქვანის შესახებ

(ა. ტარატიანთვალი)

სად შეიძლება დაითესოს ბამბა და სად არა.

ამიერ კავკასიაში ბამბის მოყვანა ყველგან შეიძლება, ოღონდ აღგილი არა მდებარეობდეს შავ ზღვასთან შედარებით 430 საეგნებ მალლა, ხოლო ერევნის გუბერნიაში 500—570 საეგნებ ზე ზევით.

არ შეიძლება ბამბის თესვა იქ, სადაც ხშირი წვიმები იცის, როგორც მაგალითად ბათუმისა და სოჩის ოლქებში, ლენქორანის მაზრაში და სხვა, რაღაც ხშირი წვიმების მიზეზით მეტად ენკენისთვეში და ღვინობისთვეში ბამბა ვეღარა მწიფდება კარგად და დაბალი ღირსებისა გამოდის.

წვიმებს უჩივიან ნუხისა და ყუბის მაზრებშიაც-კი ამიტომ იქ ბამბის თესვა მხოლოდ მაღალ ბეჭურებზე შეიძლება, საიდანაც წვიმის წყალი მაღალ ჩამოვლის ხოლმე და არა ჰერნთავს ნიადაგს.

ივრის ხეობაში ზოგან, თელავისა და სიღნალის მაზრებში თითქმის ყველგან ალაზნის ველზე, მეტად ლაგოდების ახლო და საინგილოში ბამბა მშვენივრად ხარობს ურწყავ აღგოლებშიაც კი და მაღალი ღირსებისაც გამოდის.

აღგილის არჩევა

ბამბის ყანას მთელი დღე მზე უნდა უყურებდეს. არ უნდა იჩრდილებოდეს არც ხეებით, არც შენობებით, არც ლობით. „ბამბა მზის შეილიაო“ — ამ-

ბობენ ამერიკელები, ამიტომ ბამბას მზე ყველაზე მეტად სჭირდება.

უკეთესია თუ საბამბე აღგილი ცოტა დაქანებულია სამხრეთისაკენ ან, სამხრეთ-დასავლეთისაკენ, ან და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, მეტად რე როცა აღგილი სარწყავია.

დაქანებულ აღგილზე, სადაც ნაშეტნავად მიწა მძიმე თიხნარია, წყალი მაღალ ჩამოიწყრიობა ხოლმე, აღგილი არა ჭაობიანდება, რის გამო ნიადაგი უფრო ფხვიერი რჩება, უფრო მხურვალია, ნაკლებად ერევა ბაშის ყანას შამბი და ბამბა მაღალ მწიფდება. ამგვარ მიწებში ბამბის მოყვანა ნაკლებ ხარჯს თხოულობს და მეტ მოსავალს აძლევს მომყვანს.

ზოგან, მაგალითად, ბუხარაში და ფერგანის ოლქში საბამბე მიწებს განგებ აღაბლებენ ხოლმე ცალი მხრიდან, რომ ბამბის ყანა დაქანებულზე იდგეს. ეს კიბე-კიბე გაკეთებულ ნახნავებს წყალიც ცოტა უნდებათ მოსაჩუავად, თანაბრადაც ირწყვებიან და მოსავალიც კარგი მოჰყავთ.

ქუთაისის გუბერნიაში, სადაც ხშირი წვიმები იცის და უფრო ნოტიო აღგილებია, ბამბა გორაკნებზე შეიძლება დაითესოს, როგორც ჩრდილოეთ-ამერიკაში სთხავენ.

ნიადაგი

ბამბისათვის საუკეთესო ნიადაგად ითვლება ფხვიერი, სუბუქი, ყველანაირ ბალახებისაგან გაწმენდილი მიწა.

თუ ამგვარ მიწას ცოტა ქვა-ქვიშაც ურევია, უკოთხესია, რადგან მით ნიადაგი ფხვიერდება და უფრო მხურვალია. ურიგონი არ არიან აგრედვე ბლომა კირნარევი მიწები, შავი მიწები, ერთი სიტყვით ყველა ისეთი მიწები, რომელნც ამიერ კავკასიაში კარგ საბოსტნე მიწებათ ითვლებიან.

თესლი

საუკეთესო თესლი ამერიკული ბაშბისა თეთრი ან მწვანე ბუსუს-ბანჯ-გვლიანია გარედან. თუ თესლი ტიტველია ან ჩაშავებული, ეს იმის ნიშანი იქნება რომ იგი ან ეგვიპტელი ბამბისაგან არის მიღებული, ან და ამერიკული Sea-Island (სი-აილანტ) ბამბისაა, რომელიც იქ ზღვის ნაპირებზე ითესება, სინოტიის არის შეჩერეული და ამიტომ ჩვენებურ მშრალ ჰავაში გამოსადევი არ არის. უფრო კი ბჟირად სიტიტვლე თესლისა იმას ნიშნავს, რომ ბამბა შემოუსვლელი და უკრეფიათ.

ტიტვლად ჩაშავებული თესლი ბამბის ამ ბოლო ხანებში სუკველგან ხშირი შესახვედრი გახდა საზოგადოდ.

კარგი ბამბის თესლი არ უნდა იყოს ძალიან მსხვილი, რადგან მსხვილ-თესლიანი ბამბა გვიანაც შემოდის და გამოსავალიც ნაკლები აქვს. გარდა ამისა ბამბის მცენარე ყველა ერთნაირი ჯიშისა არ არის. ამათში მხოლოდ ის ჯიშია ჩვენთვის კარგი და სასურველი, რომელსაც ეძახიან ბამბა „კინგ“, რადგან იგი ყველა დანარჩენ ჯიშებზე თითქმის ერთი თვით ადრე შემოდის და გამოსავალიც მეტი აქვს:

100 ფუთი კურკანი ბამბიდან ბამბა „კინგ“ 33—34 ფუთს კურკა-გაშორებულს, სუფთა ბამბას იძლევა, ყველა

სხვა ჯიშებიდან კი მარტო 28—30 ფუთი თი გამოდის. ბაშბის თესლის შესამოწმებლად, რომ გავიგოთ საღია თესლი თუ არა, უნდა რამდენიმე კურკა გადავჭრათ გარდიგარდმოთ და გავშინ-ჯოთ. საღი კურკის გულს უნდა თეთრი ნათელი ფერი ჰქონდეს და ზედ მოშაო წინწკლები ეტყობოდეს აშერად. თუ გული გამუქებულია, დასათესად არ ვარგა.

ნიადაგის დამუშავება

ბაშბის დასათესად მიწა უნდა შემომოდგომითვე მოიხნას 4 ვერშოკეს ანუ ერთი ჩარეჭის სილრმეზე; შემდეგ გაზაფხულზე უნდა ეს ნახნავი ხელახლა აიჩეჩოს, დაიფარცხოს კარგად, გაიწმინდოს ამოყრილი ბალახის კლერჩ-ფესვებისაგან და მერე ისე დაითესოს ბამბა.

თუ მიწა შემოდგომითვე ვერ გადავაბრუნეთ, იგი უნდა მოვხნათ იანვარ-შივე, ან თებერვალში, ან მარტის პირველ რიცხვებში მაინც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, თუ მეტადრე ნიადაგი მძიმეა და ბალახ-მორეულია, გუთნით გადაბრუნებული ბელტი ვეღარ მოასწრობს დაშლას და ამიტომ ასეთ აგორახებას ისევ ის ემჯობინება, რომ გუთნის მაგივრად მიწა სახნისით ავტერით ლრმად, რამდენჯერმე აღმაღალმა და გარდიგარდმო გატარ-გამოტარებით.

ყველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ რაც უფრო კარგად იქნება ნიადაგი დამუშავებული, იმდენი მოსავალიც კარგი გვექნება.

აქაური მიწები, მეტადრე ერევნის გუბერნატი, ნაკლებად იძლევიან მოსავალს არა მარტო იმიტომ რომ გა-

მოფიტულნი არიან, არამედ იმიტო-
მაც უფრო, რომ მუდმივი მორწყვით
ნიადაგი ერთხელ-და-ერთხელ გაიძექა,
მოუხეშავი გახდა, გაირეცხა-გალარიბ-
და და თუ გვინდა, რომ მოსავალმა
იმატოს, ამ მიწებს სასუქი უნდა მიე-
ცეთ და უფრო უკეთესად დამუშავ-
დნენ.

როდის და როგორ უნდა დაი- თესოს ბაშბა.

ამიერ კავკა'იაში ბაშბა უნდა დაი-
თესოს 10-დან 20 აპრილამდე. თუ
გაზაფხული თავიდანვე თბილი დაღგა,
ბაშბის თესვას პირველ აპრილიდანვე
შეიძლება შეუდგეთ, ხოლო თესვა
უსათუოდ პირველ მაისამდე უნდა გა-
თავდეს, რადგან წინააღმდეგ შემთხვე-
ვაში ბაშბა ვერ მოასწრობს დამწიფე-
ბის ანუ შემოსვლას და სრულს მოსა-
ვალს არ მოვცემს.

ბაშბა ითესება წკრეზე. წკრები ერ-
თი მეორიდან უნდა დაშორებულნი
იყვნენ არა ნაკლებ 1—1½ არშინზე;
ბუჩქი ბუჩქიდან—6—8 ვერშოკზე.

ასე დასათესად დესეტინას უნდება
2—2½ ფუთი თესლი, 3 ფუთზე მეტი
არას დროს.

უფრო უკეთესია როცა ბაშბა ორმო-
ორმო ითესება ხელით, ორი-სამი კურ-
კა თითო ორმოში. ასე დასათესათ დე-
სეტინას უნდება 30—35 გირვანქა
თესლი, 1 ფუთზე მეტი არას დროს.

თუ ბაშბის დათესვას თესლის გაფან-
ტივით მოვახდენთ, როგორც ჩვენში
ხორბლეულსა სთესავენ, მაშინ თითო
დესეტინას თესლი 6—8, ხან 10 ფუ-
თიც მოუნდება დასათესად და რადგან
თითო ფუთი ბაშბის თესლი 1 მანე-
თი ლირს, ხან მეტიც, ამიტომ თითო
დესეტინაზე 6—8 მანეთის თესლი და-

გვეხარჯება ზედ-მეტად. მართალია,
დათესვა, როცა თესლს ვფანტვთ, უფ-
რო ნაკლებ დროსა და ხარჯს თხოუ-
ლობს, თესლი რო არ ვიანგარიშოთ,
მაგრამ სამაგიეროდ მოვლა შემდეგი
მარგვლა, მორწყვა, დაკრეფა, უფრო
ძვირად ჯდება გაცილებით და რაც
ისე ადვილი სამუშაოა, მეტადრე დე-
დაკაცებისათვის, რომელთაც კაბებში
სიარული, როცა ბაშბა წკრეზე არ
არის დათესილი, საშინლად უნდელ-
დებათ.

გარდა ამისა წკრეზე დათესილ ბაშ-
ბას, ნამეტნავად თუ შეიძლება რომ
ეს წკრეები ჩრდილოეთიდან სამხრეთი-
საკენ იყვნენ დაქანებულნი და მით
აღგილის მორწყვა არ დაპრკოლდება,
მზეც უხვად ექნება, წყალიც ნაკლები
მოუნდება მოსარწყავად ზაფხულში,
მალეც შემოვა ბაშბა და გამოსავალიც
მეტი ექნება.

წკრეზე დათესვა ბაშბისა ასე უნდა
მოხდეს: სახნისის შემწეობით ჯერ
დაკვალავთ წკრეებს და მეტე ამ კვლე-
ბში ჩავთესავთ ბაშბას, როგორც ზე-
მოდ იყო ნათქვამი.

თუ ბანერის სათესი მაშინით დავ-
თესავთ, ეს უკეთესი. მაშინით და-
თესვას გაცილებით ნაკლები დრო უნ-
დება და თესლიც უფრო თანაბრად
ითესება.

ბანერის მაშინა ერთ ცხენს სუბუ-
ქად დააქვს. ვისაც ამ მაშინის სყიდვა
სურს, კავკასიის სამეურნეო საზოგა-
დოებისაგან შეუძლიან იყიდოს.

წესიერად დათესვას ერთი უპირვე-
ლესთაგანი მნიშვნელობა აქვს ამ საქ
მეში. თითქმის ნახევარი მოსავალი
წინადვე უზრუნველყოფილი ხდება, თუ
ბაშბა როგორც რიგია ისე დაითესა.



ბაშბის კურკა ანუ თესლი $1/2 - 1$ ვერმოკზე ღრმად არ უნდა ჩაირგას; ზემოლან მიწა უნდა წაეყაროს თესლს ფარცხით ან „ტაპანით“.

ეს ტაპანი ანუ სათროელი არის უბრალო ხის მორი, რომელსაც მიათრევს უდელი ხარი ან ცხენი. ანამდე და ანამც თრმოებში მუჭით ჩაგრძირით ბაშბის თესლი და არა ერთი ან მარტო თრი თესლი ჩაგიდვიათ თითოში!

მორწყვა

ბაშბის დახესამდე უმჯობესია ჯერ ნახნავი მორწყოთ კარგად, მერე 2—3 დღე ჩამოიცადოთ გაშრეს, შემდეგ ზევ-ზევით აუჩქრით ზედაპირი თუნდა იგივე სახნისის მოტარებით და ბარბ, ისე დასთესოთ.

ნახნავის ზედაპირი მორწყვამდე უნდა მოასწოროთ, რომ ერთნაირად მოირწყას ყველგან, თორემ თუ ერთგან მეტი წყალი მოუჭიდა, მეორეგან ნაკლები, მაშინ იღარც თანაბრად გაშრება და დათესვა წესიერად არ მოხდება.

ერთი ან ორი დღით წინ დათესამდე თესლი უნდა წყალში დაჭალბოთ. დამბალი თესლი უფრო ჩქარა ამოვა.

ნიადაგი ისეთი ნახნავისა, რომელიც ჯერ მოირწყვება, გამოშრება, მერე ზედაპირი აეჩქება და შემდეგ ისე დაითხება, უფრო ცხვიერია, უფრო ღონიშვრად ერეკება მცენარეს, აღარც ბალახი ერეკება იმდენი და სინესტესაც დიდხან ინახავს, ვიღრე მაშინ, რომ ჯერ დათესილიყო და შერე მორწყულიყო.

თუ მაინცა-და-მაინც მორწყვა დათესვის შემდეგ გვიხდება, მაშინ თესლს დალბობა იღარ უნდა, ხოლო წყალში

გავლებით კი უნდა დასველდეს, რომ მომარტოვა როცა ქვიშაში, ან ნეხვის სასუები ჩავყერით. ამოიგანგლოს შიგ, დამძიმდეს და ადვილი დასათესი გახდეს.

ამიერ კავკასიის აღმოსავლეთ მხარეებში—ტფილის-ბაქო-განჯა-ერევნის გუბერნიებში ბაშბის ყანა საზოგადოდ მორწყვას თხოულობს.

ხოლო, სადაც შესაძლებელია მოურწყვად დათესვა—ნიადაგის ან ჰავის სინოტის გამო, თუ წვიმების მიზეზით, როგორც მაგალითად ქუთაისის გუბერნიაში, ზაქათალის ოლქში, კახეთში, აქ ბევრგან ბაშბა სულაც ურწყვად იძლევა მშვენიერ მოსავალს.

ყოველ შემთხვევაში ბაშბის ყანა სიფრთხილით უნდა ირწყვებოდეს. ისევ სჯობისა ცოტა კლდეს წყალი, ვიღრე მოჭარბებით ჰქონდეს, მეტადრე როცა ზაფხული მიიწურება, მარიამობისთვეში.

საზოგადოდ უნდა ვიცოდეთ რომ რწყვით ნიადაგი იძეკება, ცივდება, ზემოთი პირი უხმება-უმაგრდება, სქდება და შამბი-ბალახი ყველანაირი ბლომათ ერევა. ამიტომ თუ კი სადმე იმედია რომ მოურწყვად დათესილი ბაშბაც კარგად იხარებს, მაშინ იქ კარგი მოსავლის იმედიც უნდა გვექნდეს.

მაგალითად ჩვენ საცად მინდორჩე, ყარაიაში, თითქმის ყოველ წლივ მშვენიერ მოსავალს ვიღებთ ბაშბისას მოურწყვად, რადგან აპრილის ნახევრიდან იქ წვიმა ხშირად იცის და ნიადაგი საკმაოდ იუენთება წვიმის წყლითაც.

ურწყვად ხეირობს ბაშბა აგრედვე კარგად ბევრგან სხვაგანაც ამიერ კავკასიაში.

იმის თქმა, რამდენჯერ უნდა მოირწყოს ბამბის ყანა, სადაც რწყვა საჭიროა, ძნელია საზოგადოდ: ქუთაისის გუბერნიაში, მაგალითად, მორწყვა სრულიად არ უნდა. მოურწყავადვე არა-ერთხელ უხარნია ბამბას მშვენივრად ლაგოდახის მიდამოებშიაც.

მუღარჩე, ბაქოს გუბერნიაში, საბამბე მინდვრებს მარტო ერთხელ რწყავენ დათესამდე და შერე აღარ. სალიანთან ახლო, იგივე ბაქოს გუბერნიაში, ბამბის ყანა, მართალია, ორჯელ ირწყვება, მაგრამ მეორე მორწყვა სრულებით არაფერს შველის, მარტო შაბბ-ბალახების ზრდას უმატებს ბამბაში და გამოსავალს ამცირებს. იქ ერთხელ მორწყვა თამამად იქმარებს, ხოლო ნიადაგს გათოხნა - გაფხვიერება უნდა რამდენჯერმე.

განჯის გუბერნიაში ბამბას 2—3-ჯერ, ხან 4-ჯერაც რწყავენ. ესევე იქცევიან ყარაიას მინდვრებზედ, სადაც ცხელი ჭრის იცის.

ყველაზე ხშირად რწყავენ ბამბას ერვნის გუბერნიაში, სადაც 4—5-ჯერ მორწყვას არ აკმარებენ და ხშირია 10-ჯერ, ხან მეტჯერაც რწყავენ. ხოლო ესეთი

ხშირი მორწყვა არას დროსაც არ უნდა იყოს წესიერად მიღებული. აუგრიუსული ბი სწორედ ამბობენ: „ზარმაცი რწყვას უმარჯვებს, ბეჯითი — ხელით ან ცხენით მუშაობასთაც.“

ბუხარაში და თურქისტანში პირველ მორწყვის შემდეგ დათესვის დროს ან უფრო ხშირად დათესვის წინად, ბამბას 60 დღის განმავლობაში იღარა რწყავენ; მერე ბამბის ყანა დაახლოებით ყოველ 20 დღეში ერთხელ ირწყვება; ხოლო პირველ მორწყვიდან მეორე მორწყვამდე ჯერ ბამბის ყანას აცდიან კარგად გამოშრეს, ფესვი გაუმაგრდეს და მერე ისე რწყავენ მეორედ.

უკანასკნელი მორწყვა ბამბისა ამიერკავკასიაში უნდა გათავდეს ხოლმე 10—15 მარიამობისთვემდე, იშვიათად მარიამობისთვის გასვლამდე, ან სექტემბრის პირველ რიცხვებამდე, ხოლო ეს ძრიელ დაგვიანებული იქნება, რაღაც შეიძლება ბამბა არ შემოვიდეს, სიცივეებმა უსწრონ და გააფუჭონ.

3. რცხილაძე

(შემდეგი იქნება)

მეფუტერეს პარენდარი

მარტი

საფარიდან სკების გამოზიდვა და პირველი გამომლერა ფუტკრისა. ცივ ქვეუნებში, სადაც ყინვები 20—30 გრადუსამდე აღის, ზამთარში ფუტკრებს განსაკუთრებულს საფარში ინახავენ. ხოლო ჩვენში ასეთი საფარის აშენება და ფუტკრების დაზამთრება საჭირო არა არის, ვინაიდან აქ ყინვა იშვიათად თუ ასცილდება როდისმე

5—8 გრადუსს და ამიტომ ფუტკრის დატოვება მთელ ზამთარში კარზედ, საფუტკრეზედვე, შესაძლოც არის და სასარგებლოც. სასარგებლოა, ვამბობ, იმისათვის, რომ, თუმცა სიცივეზედ ყოფნით შედარებო უფრო მეტი თაფლი შეეჭმებათ ფუტკრებს, ვიდრე საფარში, მაგრამ ამის ნაცვლად კარზედ მოზამთრე ფუტკრებს ხშირად ეძლევათ შემთხვევა ისარგებლონ თბილი, მზიანი ამინდით, გამოიმლერონ

სკილან და გაისუფთაონ კუჭი განვალისაგან.

ამ საგანზედ ჩვენ ქვემოდ უფრო
ვრცლად მოგვიხდება საუბარი; აქ კი
შევეხევით ამის მარტო იმის სათქმელად,
რომ თუ ვინიცობაა ვისმეს საფარში
ჰყავს სკეპი შეტანილი საზამთროდ,
ეხლა, მარტის პირველ რიცხვებში,
როდესაც ჰაერი საკმარისად გათბება
და ზოგიერთი აღრეული ყვავილებიც
გაჩნდება მინდოორში, როგორც მაგა-
ლითაღ ენძელა, ია, თხილის - ჭაღა,
შინდი და სხვ., სკეპი საფარიდან გა-
მოზიდონ საფუტკრეზედ და დადგან
თვითეული მათგანი თავისისავე ძველს
აღგილზედ, რომ სკიდან გამოფრე-
ნის შემდეგ ფუტკრებს უცხო სკა-
ში არ მოუხდეთ შეფრენა და იქ არ
დაიღუპნენ, რადგანაც ძველს ადგილს
იგინი კარგად იხსომებენ და ჩვეულე-
ბისამებრ იმავე ადგილზედ ბრუნდე-
ბიან.

რა თქმა უნდა, სკების გამოსაზიდვად მეფუტკრემ მზიანი, თბილი დღე უნდა აირჩიოს, რომ ფუტკრებმა თამამად შესძლონ სკებიდან წყობრივ გამომლერა და კუჭის გასულთავება.

აქ ეღება ბოლო ტყვეობას და ხა-
რობს თავისუფლება! რამდენიმე თვით
სიბრელეში დამწყვდეული ფუტკარი აწ-
ეძლევა განუსაზღვრელს სიხარულს:
გუნდ-გუნდად სიმღრა-გუგუნით თვით-
თეულს სკიდან იწყობენ გამოფრენას
და თითქმ თავისუფლებას ულოცავენ
ერთმანეთსაო, რამდენსამე წამს ჯერ
სკის მისაფრენთან მიმოიწლერიან და
მერე კი სწრაფად ეფინებიან მაღლა
ჰაერში.

ამ დროს - ოქვენ შენიშვნავთ პატიო-
ლან სკოლას და სხვა საგანგმობრივ ჩა-

მონადენს მიხაკის ფერს, ლოტწოდუნ-
ცვარს, — ეს განავალია ფუტკოსია, რომელსაც
რომელსაც იგი რამდენიმე თვე ტყვე-
ობის დროს იძულებით ინახავდა კუჭ-
ში და ეხლა კი, როდესაც მიეცა შვე
ბა, დაუყოვნებლივ იწმენდას კუჭი ამ
სიბინძურისაგან.

სალი, ბედნიერი ოჯახი, ამ პირველ
გამომღერის შემდეგ, მალე მშვიდება,
ფუტკრები წყობრივე შედიან სკაში.
მაგრამ აგერ ერთ სკაში კი როგორდაც
ისე ხალისიანად არ შედი-გამოდიან
ფუტკრები. ხმაც რაღაც საზარელია,
უსიცოცხლო, უფრო ტირილს მოგა-
გონებთ, ბინდამდე შედი-გამოდიან
სკაში ბზუილით, რაღაც ლობე-ყორებს
ედებიან სკის გვერდებზედ თითქო რამე-
დაჲ ქარგვიათო.

ყველა რაც ზემოდ ვსთქვით შეეხე-
ბა იმ საფუტკრეებსაც ლებიც კარზედ
ზამთრობენ: აქც პირველყინვა-სიცი-
ვების შემდეგ გაზაფხულის ცხოველ-
მყოფელის სითბოს ჩამოვარდნის უმაღ,
ისეთივე გამომღერა - გამონავარდება
ხდება ფუტკრისა სკიდან, როგორიც
შევნიშნეთ ეს საფარში ნაზამთრი ფუ-
ტკრის გარედ გამორიანის ზრდას.

სკების ძირების დასუფთავება. პირ-
ველი გამომღერის შემდეგ ფუტკრები
ჯერ თავის ბინის დასუფთავებას იწყო-
ბენ. გაფაციცებით ქზიდებიან კაზედ
რაც კი რამმოგროვილა სკაში მთელი
ზამთრის განმავლობაში: დახოცილს

ფუტკრებს, ფიჭვებზედ გადანახადს და სხვ. ერთის სიტყვით, ფუტკრებს ამ დროს სწორედ რომ მძიმე საქმიანობა ატყდებათ თავს და მეტი შეუბრალებლობა იქნება მეფუტკრის მხრივ, რომ ამ საქმიანობაში მან ხელი არ შეუწყოს თავის პატია მუქთა მუშებს, მით უმეტეს, რომ ზოგიერთ სკაში სინეტისა გამო, ზოგჯერ მთელი გროვაა ზედიზედ მიწებოებულის და ობ მოკიდებული დახოცილი ფუტკრებისა, რომების გამოსუფთავება ერთობ დიდ დროს და ძალას ართმევს მთელ ჯახას.

ძირების დასუფთავებისათვის მეფუტკრემ უნდა ამოირჩიოს სუსხიანი ღილა თბილი, მზანი დღისა. ამ დროს ფუტკრები ჯერ ისევ ბუდეზედ სხედან შეკუმშულნი და, მაშისადამე, სკის ძირზედ არც ერთი ფუტკარი არ იქნება ჩამოსული და არცარა შიში იქნება მათი კბენა-გაბრაზების მხრივ. ამ დროს მიხეალთ რომელსამე სკასთან, ერთს კაცს ააწევინებთ უკანიდან სკის ბუდეს, მეორე კი ჩიტკით მთლად გამოსწმენდავს ძირს, ამის შემდეგ სკის ბუდეს ისევ დაუშვებენ თავისსავე აღგილზედ—ძირზედ. მეორე წესი: მთლად აიღებთ რომელსამე სკას და გადმოსდგამთ გვერდზედ; მის ნადგამზედ დასდგამთ ახალს. შემდეგ ამ გადადგმულის სკიდან აიღებთ მარტო ბუდეს და გადმოსდგამთ თავისსავე აღგილზედ ახლად დადგმულს გასუფთავებულ ძირზედ, ხოლო მეორე ძირს კი გაასუფთავებთ დახოცილი ფუტკრებიდან, შეამშრალებთ და ამავე წესით გადასდიხართ ახლა დანარჩენ სკებთან, ვიდრე მთლად გაათავებთ ძირების დასუფთავებას. ეს კი რომ ამგვარად ძირების დასუფთავება მოხერხდება მხოლოდ მაშინ, რო-

დესაც საფუტკრეზედ ერთის სისტემა სკები იქნება; წინააღმდეგ შეშჩრდება ში ეს საქმე უნდა ასრულდეს პირველის წესით, ესე იგი ბუდის თავისავე ძირზედ წინ გადაწევით და ჩიტკის გაღმოსმით.

ფუტკრებთან მოპყრობა—თავის დაჭირა. სკების ძირების დასუფთავების შემდეგ საჭიროა თვით ბუდის დაშლა, მისი ავ-კარგიანობის შემოწმება. მაგრამ ვიდრე ამ საქმეს მოვკიდებდეთ ხელს, სავალდებულოა ვიცოდეთ ზოგი რამ, რაც არ აბრაზებს ფუტკრებს, რომ მით ჩვენი თავიც უზრუნველ ვყოთ კბენისაგან და ყოველგვარი მათთან საქმიანობაც შესაძლო გახდეს.


უპირველეს ყოვლისა ფუტკრებთან საქმის მექონებს მტკიცებდ უნდა ახსოვდეს, რომ მუშაობის დროს თავი ეჭიროს წყნარად, ვინაიდან ყოველგვარი ბრახუნი, აჩქარებული რბენა-მოქმედობა, ხელების ქნევა-ფაცური, როდესაც ფუტკარი იმჩნევს კბენის სურვილს, ძალზედ აბრაზებს მას და აღარც ჰზოგავს საკბენად უგვანო მეფუტკრეს.

კბენის შემდეგ საჭიროა დაუყოვნებლივ ისრის ამოღება და თვით იარის გადარეცხვა, თორემ შხამის სუნი მომეტებულად აბრაზებს ფუტკარს და მოსალოდნელია უფრო მეტი ფუტკრების დასევა. ხოლო, თუ რამდენმამე ფუტკარმა ერთად გიყბინებს, უმჯობესია დროებით შესწყვიტო მუშაობა, ვიდრე შეგაქრება შხამის სუნი და ფუტკრებსაც გადაუვლით პირველი ბრაზი.

საბოლებელი მანქანა. ვიდრე ფუტკრებთან მუშაობას დავიწყობდეთ, საჭიროა მათი ცოტაოლინად დაბოლება საბოლებელი მანქანით. საზოგა-

დოდ ბოლი ფუტკარს ძალიან აშინებს და უკარგავს კბენის ხალისს. ბოლი არა მოქმედობს მხოლოდ იმ სკის მოსახლეობაზედ, რომელსაც სარჩო გამოლევაზედ აქვს, ან სულ გამოლევია. სარჩოიან ფუტკარს-კი დაბოლების შემოეგ საკენად აღარა სცხელა, — ამ დროს ესენი ხარბად ესევიან თაფლს, რომ მტრის გულისად არ გახდეს მათი სარჩო-საბადებელი. თუ ხანმა გაიარა, ბოლის გამეორება კვლავ საჭირო ხდება.

საბოლებელი მანქანა (იხ. სურ. 1.) შესდგება თუნუქის მილისაგან, რომელშიაც უნდა ჩაიყაროს ცეცხლი, და საბერველი - სავან, რომელიც აღმართებს ცეცხლს. თუ-



(სურ. № 1)


ნუქის მილზედ წამოხურულია ვიწრო ცხვირიანი სახურავი, რომლიდანაც გამომდინარეობს ბოლი. საბოლებელ მასალად იხმარება გამხმარი წივა, ჩვრები, მაგრამ ყველაზედ უკეთესია და აღვილი საშოვარიც დამპალი, ფუტურო ხის ანაგლეჯები.

რომ მანქანაში ცეცხლი არ ჩაქრეს, ხმარების შემდეგ უნდა ან რაზედმე დაიდგას ან ჩამოიკიდოს ისე, როგორც სურათზედ არის ნაჩვენები.

პირბადე. გიმოცლილი მეფუტკრე პირბადეს ძალიან იშვიათად ხმარობს, ვინაიდგან ის დიდის ხნიდან არის შეჩვეული ფუტკართან წესიერად მუშაობას, ხოლო ახალ მეფუტკრესათვის-კი, ვიღრე კარგად გაიკვეთავს ხა-

ფუტკრეზედ მუშაობას, პირბადის მებადა საჭიროა: უფრო გაბეჭდვით და ღინჯად იმუშავებს. პირ-ბადის ხმარება საჭიროა ნამეტნავად მაშინ, როდესაც მინდოში ღალიანობა შეწყვეტილია და ფუტკარიც დიდს სიბრაზეს იჩენს.

პირბადეს (სურ. 2) შესაკერად უნდა ვიყიდოთ მსხვილ ადგილიანი შავი ლეჩაქი (ტული), სიგრძით არშინ ნახევარი, სიგანით სამი ჩარექი; სიგრძეზედ მოვარდკეცოთ და მუთაქისებურიად გავკეროთ, თავსა და ბოლოს თითის სიპტყეთ გადაუკეცოთ ტუგა რეზინის ზონარი გაუყაროთ. ასეთი ზონარის შემწეობით პირბადე მჭიდროდ ეკვრის ჩალის ქუდის ერთის მხრივ, მეორე მხრივ კიკისერს, რომ ფუტკარმა ვერა გზით ვერ შესძლოს კისერში შეძრომა. ასეთი პირბადე გრილია და აღვილი ასახელელიც.



სურ. 2.

ქუდის ერთის მხრივ, მეორე მხრივ კიკისერს, რომ ფუტკარმა ვერა გზით ვერ შესძლოს კისერში შეძრომა. ასეთი პირბადე გრილია და აღვილი ასახელელიც.

ბუდის დაშლა და მისი მდგომარეობის შემოწმება. ამ საქმისათვის მეფუტკრემ უნდა შეირჩიოს თბილი დღე არა ნაკლებ + 8 გრადუსისა ჩრდილში, რომ ბუდეც არ გაუცივდეთ ფუტკრებს და თავადაც თავისუფლად შესძლონ ჰაერზედ ფრენა.

ბუდის გაჩერება-შემოწმების დროს უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს, რომ: 1) ფუტკრის ოჯახს საკმარისი ჰქონდეს სარჩო, 2) არ იყოს იგი უდედო, ან ცუდ-დედოიანი და 3) ფიჭებიც მომეტებულ ნაწილად იყოს სამუ-

შე და ამასთანავე ახალი. ამისათვის ბუდის დაშლის დროს თვითოული ჩარჩო უნდა გადაიჩიეს და ორისავე გვერდი-დან კარგად გაისინჯოს.

სარჩოს შემოწმება. ცხადია, რომ რამდენადაც მეტი სარჩო იქნება სკა-ში, იმდენად უკეთესია. ყოველ შემ-თხვევაში საჭიროა, რომ სამ-ოთხ ნა-ხევრად გასებლს ჩარჩოზედ ნაკლები არ იყოს თაფლი, რაიც უდრის დახ-ლოებით 12—15 გირვანქას. წინააღმ-დეგ შემოხვევაში ღარიბ თჯასს უნდა ჩაემატოს თაფლიანი ჩარჩოები სხვა სკებიდვან, სადაც შესაძლო იქნება მა-თი მომხობა.

ფუტკრების სიმრავლისა გამოიყენებული შეიძლება თვალით ვერ გაჰქილოთ, კვერცხების ან ბარტყების შენიშვნა სკა-ში უტყუარი საბუაია დედის არსებო-ბისა. ხოლო როდესაც არც კვერხი სჩანს სადმე და არც მატლი, მაშინ-კი ბეჯითად უნდა დედის მოძებნა, რომ საბოლოოთ გადაწყვიტოს კაცმა—უდე-დომ თჯახი, თუ არა.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე თვით დედის სიავ-კარეგე-საც, მის ნაყოფიერებას, რაიც გამოი-ცნობა უჯრებში ნაფანტი კვერცხით, ან მატლით.

მღვ. ალ. ჯალიაშვილი

გლეხ-კონკრეტურის სახელმძღვანელო

(შემდგენ*)

თუ გლეხს სურს თავისი მოსავლის გაყიდვა და ამასთანავე მის სოფელში არსებობს სასოფლო-სამეურნეო საზო-გადოება, იგი აღარ მიმართავს მატყუა-რა ჩარჩის და ყველაფერს გაჰყილის სა-ზოგადოების საშუალებით.

როდესაც საზოგადოებაში მოგროვ-დება გლეხთა ნაწარმოები, იგი მიწერ-მოწერას მართავს სხვადასხვა ქალაქებ-ში დიდ ვაჭრებთან და მათ უგზავნის კარგს ფასებში პურს, ლვინოს, ბზეს, ხილს, მატყულს, აბრეშუმს და სხვა ნა-წარმოებს.

თუ გლეხს ფული ესაჭიროება საჩ-ქაროდ, საზოგადოებას შეუძლიან გლე-ხის ნაწარმოების გაყიდვამდე მისცეს წინდაწინვე ღირებფლი ფასის ორი მე-სამედი, თუ, რასაკვირველია, საზოგა-დოებას ექნება სამისო თანხა.

ასეთი დახმარება განსაკუთრებით მა-შინ არის კარგი, როდესაც გლეხის

რაიმე ნაწარმოებს, მაგალითად ლვინოს, პურს, ბზეს, თივას და სხვ. ფასი არა აქვს. ამისთანა შემთხვევაში საზოგა-დოება ბეის მიცემით შეაძლებინებს გლეხს დაიკმაყოფილოს აუცილებელი მოთხოვნილებანი და თავისი ნაწარმოე-ბი გაიიღოს მაშინ, როცა ფასი აი-წევს.

კონკრეტურის აგრეთვე დიდი შნიშვ-ნელობა აქვს მაშინ, როცა მისი მონა-წილენი მისდევენ განსაკუთრებით რო-მელიმე სასოფლო-სამეურნეო დარგს. მაგალითად: მევენახობას, საქონლის მოშენებას, მეაბრეშუმებას, მეფუტკ-რობას, შინაურ ფრინველების მოშე-ნებას და სხვ.

გ. მომხმარებელი კონკრეტური

რომ შესაძლებელი იყოს ერთი კონკრეტური საზოგადოების სა-შუალებით სესხად ფულის შოვნაც შე-ღავათიანის პირობებით და ყილვა-გა-

*) იხილე „მოსავალი“-ს № 6.

ყიდვაც ყველა იარაღებისა და ნაწარ-მოებისა, მაშინ ყოველ სოფელში საკ-მარისი იქნებოდა ერთ კოოპერატუ-ლი საზოგადოება დაარსებულიყო, მა-გრამ ასეთი საზოგადოება ჯერ-ჯერო-ბით არსად არ არის. ყველა ამ სამსა-ხურს ასრულებენ სხვადასხვა კოოპერატული საზოგადოება. სასოფლო სამე-ურნეო საზოგადოებას კანონით უფ-ლება აქვს სავაჭრო გადახადის გაუ-დღებლად მიჰყიდოს თავს წევრებს მო-ლოდ ის ნივთები, რომლებიც საჭიროა მათის სასოფლო მეურნეობისათვის. თუ სამეურნეო საზოგადოება დაი-წყებს ვაჭრობას სხვა საქონლითაც, მა-შინ მან, როგორც ყველა კერძო სა-ვაჭროებმა უნდა იხადოს სავაჭრო გარ-დასახადიც.

კაცი ყველაფერს მოითმენს, ჭამა-სმას კი ვერა... სანოვაგის სასყიდლათ გლეხი მუდამ ქალაქში ვერ ივლის. იგი იძულებულია საჭიროების დროს მი-მართოს ადგილობრივ წვრილ მოვა-ჭრეს, რომელიც ყველაფერს მამასის-ხლად ჰყიდის. იწყევლიან გლეხნი ბედს, აგინებენ მედუქნეს, მაგრამ გინებით არა ფერი არა გამოდის რა. ის კი არ იციან, რომ შეერთება-კოოპერაცია მისცემს მათ საშუალებას დაიცვან თავი მედუქნების გაყვლეფისგან.

ასეთ კოოპერაციის ეწოდება მომ-ხმარებელი საზოგადოება.

თუ გლეხებს უჭირთ ახალი და იაფი საქონელი და არა პსურთ ადგილობრივ ვაჭრებისგან ერთი-ორათ ძვირათ ყიდვა თუ შევნებული აქვთ, რომ ერთბაშათ ბევრი საქონლის სყიდვა ძალიან იაფი ჭდება, მათ უნდა დაარსონ მამხმარე-ბელი საზოგადოება, რომელიც გახსნის მომხმარებელ დუქან-მაღაზიას.

რა სიკეთის მოტანა შეუძლიანი მო-მხმარებელ საზოგადოების შალაზია? უბირველეს ყოვლისა ესეთი მაღაზია მეტად აიაფებს იმათ ცხოვრებს, ვინც აქ ვაჭრობენ. მომხმარებელი საზოგა-დოება ყიდულობს საქონელს ბლობ-ბლომათ, რისგამოც მას მეტად იაფად ჯდება ეს საქონელი და თვითონ კი გაცილებით ნაკლებ ფასებში ჰყიდის, ვიდრე ადგილობრივ წვრილი მოვაჭრე. ეს ასედაც უნდა იყოს, რადგანაც მო-მხმარებელ საზოგადოების მიზანი, რო-გორც ზევითაცა ვსთქვით, არის გლეხ-თათვის უსაჭიროეს საგნების იაფად მა-წოდებაა.

შემდეგ, რადგანაც მომხმარებელ საზოგადოების დუქანის არის ყველა წევრის, ანუ მომხმარებლის საკუთრება, ამიტომ ის არავის ორ მოატყუებს. ამას-თანავე გლეხი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მომხმარებელ საზოგადოე-ბის დუქანში ნაყიდი საქონელი მუდამ უფრო კარგი ლირსებისაა.

საქონლის გაიაფებით გომხმარებელ საზოგადოების მაღაზია აიძულებს ადგი-ლობრივ ვაჭრებსაც გააიაფონ თავიან-თი საქონელი, თავი დაანებონ თავიანთ უსინდისო ვაჭრობას.

თუ ყველანი საზოგადოების დუქან-ში ივაჭრებენ, ეს უკანასკნელი მაღა-გაფართოვდება და დიდი მოგებაც დარ-ჩება, რისგამო უფრო გააიაფებს საქო-ნელს. მომხმარებელ საზოგადოების დუქანები არამც თუ საქონელს ჰყი-დიან იაფადმარტო, არამედ მოგებასაც ურიგებენ წევრებს წლის ბოლოს. წვრილი მოვაჭრე ცდილობს მიიღოს რაც შეიძლება მეტი მოგება. ამ მო-გებას ხმარობს ისე, როგორც ჰსურს. მომხმარებელი საზოგადოების დუქანი

კი მოგების უნაწილებს თავის მუშტარს
იმის და მიხედვით, ვინ რამდენი მანე-
თისა ივაჭრა წლის განმავლობაში.

თუ წევრთა საერთო კრება მოისურ-
ვებს, მოგების წევრები მიღებენ ფუ-
ლად. მაგრამ ასე იშვიათად იქცევა
საზოგადოება. ჩვეულებრივ მოგების
მამეტებულ ნაწილს უმატებს დუქნის
საწარმოო თანხას და მით ოფართოებენ
ვაჭრობას, დანარჩენს კი ახმარებენ რაი-
მე საერთო საქმეს: ამ ფულით ჰქინიან
სამკითხველოებს, მართავენ სახალხო
კითხვებს, სკოლებს და სხვ. როდესაც
ფული ბევრი გროვდება, არსებენ კოო-
პერატიულ სახელოსნოებს, ფაბრიკა-
ჯარხმებს და სხვ

სადაც კი არსდება კოპერატიული
მომხმარებელი საზოგადოება და მისი
საქმეები პირველათვე კარგათ მიღის, იქ
მცხოვრები მალე რწმუნდებიან კოო-
პერაციის სარგებლობაში და უფრთხილ-
დებიან მის არსებობას.

დ. კავშირი თანამშრომელთა (არტეჭი)

გლეხები ყველგან მხოლოდ მიწად-
მოქმედებას არ მისდევენ. ზოგან გაერ-
ცელებულია სხვადასხვა შინა მრეწვე-
ლობა, როგორც მაგალითად ქსნის
ხეობაზე თიხის ჭურჭლის კეთება. მე-
ტად სასარგებლო ჩვეულებაა, როცა,
რომელიმე მხრის გლეხები მისდევენ
შინა მრეწველობას. მაგრამ საქმე მხო-
ლოდ ნაწარმოების დამზადებით არა
თავდება, — საქონელს გაყიდვაც უნდა,
ესე იგი ბაზარზე გამოტანა, და აი სწო-
რედ ეს მხარეა ძნელი ბევრისათვის.
მომეტებულ ნაწილს შეძლება არა აქვს
თავისი ნაწარმოები გასასყიდად წაი-

ლოს ან თავის მარტო ხელობრი, რომელი
ურმის და ხარ-კამეჩის უქორელობის
და სხვა.

ამ შემთხვევაშიაც დიდი დახმარების
გაწევა შეუძლიან შეერთებას, შეკავ-
შირებას.

შეკავშირება დიდს დახმარებას გაუ-
წევს გლეხებს მერძეობაშიაც. კავში-
რის მონაწილე გლეხებს შეუძლიანთ
თავიანთ რძეს ერთად მოუყარონ თავი
და საერთო ხარჯით ზიდონ ყოველ
დღე გასასყიდად ან და საერთო ხარ-
ჯითვე მოაწყონ ყველისა და კარაჭის
საკეთებელი ქარხანა, საუკეთესო მან-
ქანებით და წესებით დაიმუშაონ რძე
და აგრძევე თვით ძროხების ჯიშიც
გააუმჯობესონ.

კავშირი. დახმარება გლეხებს, რო-
ცა მიღიან საღმე სამუშაოდ. მათ შე-
უძლიანთ აიღონ იჯარით რაიმე საქმის
შესრულება, თავიდან აიცდინონ წვრი-
ლი მოიჯარიაღრები და ის მოგება,
რომელიც მოიჯარიაღრებს რჩებათ,
თვით თანამშრომლებმა დაინარჩუ-
ნონ.

ამას გარდა კავშირი ადგენს თანხას,
რომლითაც ეხმარება თავის წევრებს
გაჭირვების დროს. მართავს სასადილოს.
საიდანაც კავშირის მონაწილენი ღე-
ბულობენ საღ საჭმელს და სხვ. საქმის
გათავების შემდეგ თანამშრომელი-
აღებულს ფულს ინაწილებენ თვითეუ-
ლის ნამუშევარის მიხედვით.

III

კოველზარ კოოპერატივების კავშირი

რაკი გლეხი გაიგებს, თუ რა არის
კოოპერაცია და რომელი გვარი კოო-

პერაციით შეიძლება ამა თუ იმ გა-
ჭირვების თავიდან აცილება, უკვე მის
ხელთ არის ერთი საშუალება თავის
ცხოვრების გაუმჯობესობისა.

როგორც ზემოთაც ვსთქვით, არ არ-
სებობს ისეთი კონკრეტურია, რომელ-
საც შეეძლოს დაიცვას გლეხები ყო-
ველგვარ გაჭირებიდან. ასეთი საზო-
გადოება არც თუ სასურველია, რად-
გან ყველა საქმეს კარგად ვერ აწარ-
მოებს. მას ბატის საქმე დაემართება,
რომელმაც ფრენაც იცის, სიჩბილიც,
ცურვაც, მაგრამ კარგად კი ვერც ერთი
ვერ ეხერხება.

ერთერთი რომელიმე საქმე რომ მი-
ენდოს საზოგადოებას კარგად გაუძლვე-
ბა და დიდს სიკეთესაც მოუტანს გლე-
ხებს. იმიტომ მათ უნდა ისეთი საზო-
გადოება დაარსონ, რომელიც იხსინს
უმთავრეს გაჭირვებიდან.

მოვიყვანოთ მაგალითი. ვსთქვათ,
რომელიმე სოფელში საჭირო არ არის
საწვრიმალო დუჭნის დაარსება, იმიტომ
რომ ყველაფერს თვით გლეხები ამზა-
დებენ სახლში. სამაგიეროთ იქ შეიძ-
ლება ფულის საჭიროება იყოს დიდი
საოჯახო საქმეებისათვის. ასეთ სო-
ფელში უნდა დაარსდეს საკრედიტო ან
შემნახველ - გამსესხებელი ამხანაგობა.
თუ ამ ამხანაგობის საქმე კარგად წავი-
და, გლეხები მალე დარწმუნდებიან კონ-
კრაციის სარგებლოვაში და მალე მეო-
რე გვარ კონკრეტულ საზოგადოება-
საც დაარსებენ.

ყველა ეს უნდა იცოდეს გლეხმა;
უნდა ასწონდასწონოს ამირჩიოს სწო-
რედ ის კონკრეტული საზოგადოე-
ბა, რომელიც უფრო შეეფერება მის
დღევანდელ გაჭირებას. მტკიცედ უნ-

და იხსოვდეს ყველას, რომელიც მოვა-
ლოდ ის კონკრეტული საზოგადოე-
ბა არის მკვიდრი, რომელიც გამო-
წვეულია რამდენ სამეურნეო საჭიროე-
ბით.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ რა-
კი ერთი გაიდგამს კონკრეტურია ფეს-
ვებს, იქ ის ადვილად აღარ მოისპობა.
მისი სარგებლობა მაღა აშკარა ხდება
ყველასათვის და სწრაფადაც იზრდე-
ბა.

იქ, სადაც გაიხსნება საკრედიტო
კონკრეტურია, ებადებათ გლეხებს აზრი
სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების
გახსნის შესახებაც, რათა უკეთესად
გამოიყენონ საკრედიტო ამხანაგობიდან
სესხად აღებული ფული.

წინააღმდეგ ამისა, სადაც პირველად
გაიხსნება სასოფლო-სამეურნეო საზო-
გადოება, იქ მაღა იხსნება საკრედიტო
ამხანაგობაც, რადგან უამისოდ პირვე-
ლი ვერ მიღის იოლად. ერთის სიტყვით
ყოველგვარ კონკრეტური კონკრეტური
არსებობს კვიდრი კავშირი. მათი საერთო
მიზანია — გაუმჯობესობა მშრომელი
ხალხის ცხოვრებისა.

სადაც მოქმედობენ საკრედიტო, ერთ
აღგილას მომხმარებელი და სასოფლო
სამეურნეო საზოგადოებანი, იქ მათ
შორის ძმური კავშირი არსებობს. საკ-
რედიტო ამხანაგობა შველის სასოფლო-
სამეურნეო საზოგადოებას სესხის მი-
ცემით. სასოფლო-სამეურნეო საზოგა-
დოება შველის საკრედიტო ამხანაგო-
ბას იმით, რომ აღებულ სესხს ახარჯვი-
ნებს გლეხების სასარგებლო საქმეზე და
მით უზრუნველ ჰყოფს სესხის დაბრუ-
ნებას. მომხმარებელი საზოგადოება ყი-

დულობის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისგან მის წევრების ნაწარმოებს და სხვა.

IV

კომპარაციის მიზანელობა

როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი, სხვა-და-სხვა გვარ კონპერატიულ საზოგადოებებს შეუძლიანთ გზა აუქცილონ სოფლის ჩარჩ-მოვახშეებს და ის მოვება, რომელსაც იღებენ ეს უკანასკნელი, გლეხებსვე დარჩეთ.

უცხო ქვეყნებში კონპერაციის მნიშვნელობა გლეხების გარდა თვით მთავრობასაც აქვს შეგნებული და ძალიანაც ეხმარება გლეხებს კონპერაციის დაარსებაში.

შემჩნეულია, რომ რაც უფრო ბევრია კონპერატიული საზოგადოებები რომელიმე ქვეყანაში, მით უკუთხესია იქ გლეხების ცხოვრება, უკეთ ამჟავებენ თავიანთ მიწას და მეტს მოსავალსაც ღებულობენ, რის გამო მდიდრდება თვით ქვეყანაც.

კონპერაციას აღმზდელობითი მნიშვნელობაც აქვს; იგი საერთო კრებებზე იზიდამს გლეხებს თანასწორის ხმის უფლებით და მით აჩვევს საზოგადო საქმეებზე მუშაობას.

უმთავრესი მიზეზი კონპერაციების შემაფერხებელი ხალხის სიპრეზე და სიფონილე უსწავლელობაა. წერა-კი-

თხვის მცოდნე მუდამ აღვილადშეცვალის ნებს კონპერაციის მნიშვნელობას, ვი-დრე უსწავლელი.

ამის გამო ყოველი კონპერატიული საზოგადოება ორა ნაკლებ ჰქონებამს მასზე, რომ გლეხობაში რაც შეიძლება მეტი იყოს წერა-კითხვის მცოდნე. იგი ეხმარება გლეხებს ფულით რომ მათ შვილები სწავლაში გამოზარდონ. თავის ხარჯით აარსებს სკოლებს, საბკითხველოებს და სხვ. ერთის სიტყვით კონპერაცია ნივთიერ ცხოვრების გაუმჯობესობასთან ერთად ცდილობს ხალხში სწავლა-განათლებაც გაავრცელოს.

თუმცა კონპერაციას დიდი სიკეთის მოტანა შეუძლიან, მაგრამ გლეხებს მაინც უნდა იქნიონ სახეში, რომ იგი სრულ სამოთხედ ვერ გარდავქმნის მათ ცხოვრებას. არსებული საერთო კანონები კონპერატიულ საზოგადოების მოქმედების ღრმასაც დარჩებიან კანონებათ. სახელმწიფო ხარჯები ისევე დარჩება, როგორც დღეს არის. მთავრობა და მემამულენიც იქნებიან ისევე, როგორც დღეს. ეს უნდა იცოდეს ხალხმა, რომ შემდეგში კონპერაციაზე არ აიცრუოს გული, როდესაც ეს უკანას კნელი არ მოსპობს ყველა იმას, რაც ხალხს არ მოსწონს ცხოვრებაში.

ს. კახელიძე

(შემდეგი იქნება)



განცხადებაზ

გ ა ფ რ თ ხ ი ღ ე ბ ა

ყველა მევენახემ და მამულის პატრონმა კარგად იცის, რომ ნაცრის წინა-
აღმდევ გოგირდი იხმარება და თუ ამ სენს ღროჟედ არ ეწიმდა მოსავალი
და კარგობლია.

ბაზარში ორნაირი გოგირდი საღდება: **დანაყილი და გამოხდილი.** დანა-
ყილ გოგირდში სხვა-და-სხვა გარეშე ნივთიერებაც ურევია და ვენახისათვის
ნაკლებად გამოსადევია, დანაყილი გოგირდის მყიდველი ზარალშია. სამაგიროდ
გამოხდილი გოგირდი (Сублимированная схва) წმინდაა, ნაცარს აღვილად სპობს
და საზოგადოდ საუკეთესო ღირსებისაა.

დიდი ხანია ჩვენ ვყიდით გამოხდილ გოგირდს, — საკუთარი მარკისას, — ზო-
ლიან „მეშოკებში“. ქიმიურმა გამოკვლევამ და პრაქტიკულმა გამოცდილებამ
დაამტკიცა, რომ ჩვენი მარკის გოგირდი საუკეთესოა ნაცრის წინააღმდევ. ამ
მოლო წლებში ზოგმა ფირმამ მოგვაძა და ზოლიან „მეშოკებში“ ღამის უვარ-
გისი გოგირდის გაყიდვა. აი სწორედ ამ მიზეზით ვაფრთხილებ პატივცემულ
მყიდვალთ, გოგირდის ყიდვის დროს მიაქციონ ყურადღება, არ მოსტყუვდნენ.
ჩვენ ზოლიან „მეშოკებს“ თან ახლავს მრგვალი — თხელი კარდონის წიაელი
„იარლიკი“, რომელსაც თეთრი არშია აქვს, შუაზედ სახელმწიფო გერბია გა-
მოხატული და ჩვენი ფირმა და გვარი აწერია. პატივისცემით ვ. ე. ვრიდონოვი.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში

ბარიატინსკის ქუჩა, № 5.

ისეილება შემოწმებული საღი და ნაცადი

თესლი

გაღდადის ყვითელი აბრეშუმისა

დარია დეპარტიულისა

მისალი 50 კაპ.